ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1631

"10" ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლოლაკის ხეივანში მშენებარე „ბიზნესცენტრის“ ელექტრომომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ,,ბიზნესცენტრის’’ მიმდებარე ტერიტორიაზე, კოჯრის გზატკეცილი, ახალგაზრდობის ხეივანთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.020), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის“, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 10 ნოემბრის სხდომის №39 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლოლაკის ხეივანში მშენებარე „ბიზნესცენტრის“ ელექტრომომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოჯრის გზატკეცილი, ახალგაზრდობის ხეივანთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.020), სასტუმროს განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განაშენიანების კოეფიციენტი (კ1), განისაზღვროს: კ1=0,5.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

თბილისის მერიის საქმის წარმოების განყოფილება №3

ქ. თბილისი 0160

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №39

ქ. თბილისი 10 ნოემბერი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ხატისკაცი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: გოჩა ბაბუნაშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ზაქარია ქურდიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ლევან ძაგნიძე, ირაკლი მასხარაშვილი.

მოწვეულები: მ. ჯეირანაშვილი, გ. ტიკურიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლოლაკის ხეივანში მშენებარე „ბიზნეს ცენტრი“–ს ელ. მომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოჯრის გზატკეცილი, ახალგაზრდობის ხეივანთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.020), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. მ. ჯეირანაშვილის ინფორმაცია ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლოლაკის ხეივანში მშენებარე „ბიზნეს ცენტრი“–ს ელ. მომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოჯრის გზატკეცილი, ახალგაზრდობის ხეივანთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.020), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. დვალი. **AR1263275.**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,2.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ1=0,5.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. რეკრეაციული სივრცის ხარჯზე სამშენებლო განვითარება მიუღებელია.
- არ არის მისაღები. ბოტანიკურ ბაღს აქვს ძეგლის სტატუსი, რომლის დამცავ ზონაში არ არის რეკომენდირებული მსხვილმაშტაბიანი მშენებლობა.

- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლოლაკის ხეივანში მშენებარე „ბიზნეს ცენტრი“–ს ელ. მომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოჯრის გზატკეცილი, ახალგაზრდობის ხეივანთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.020), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაღვროს: კ1=0,5.

განხილვის შედეგი: მომხრე: 9, წინააღმდეგი: 2.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ხატისკაცი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ წემსაძე